ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

მუნიციპლიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული დადგენილების პროექტის შემუშავება დაკავშირებულია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ამოქმედებასთან. აღნიშნული კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით გამგეობის თანამდებობის პირები არიან: გამგებელი, გამგებლის პირველი მოადგილე, გამგებლის მოადგილე, და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. ჩამოთვლილი პირების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 13-ს. პროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ზემოაღნიშნულ ცვლილებასთან შესაბამისობაშია მოსაყვანი გამგეობის საშტატო ნუსხა, რომლითაც მტკიცდება გამგეობის შტატების რაოდენობა და თანამდებობათა დასახელებები.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის გამგებელი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი თეა უჯმაჯურიძე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

გამგებელი: ირაკლი კუჭავა